

<p>მიზნები</p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესის გაცნობით, მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში დასაქმებული იმ მოხელეთათვის კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაბამისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნის მიცემა, რომელთა თანამდებობის სამუშაო აღწერილობა მოიცავს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის უფლებამოსილებას</p>
<p>შესასწავლი ძირითადი თემები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადმინისტრაციული საჩივრის არსი და მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი 2. ადმინისტრაციული წარმოების ფორმისა და შინაარსისადმი დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნები 3. ადმინისტრაციული საჩივრთან დაკავშირებული ვადები და ვადასთან დაკავშირებული თანმდევი შედეგები 4. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის საკანონმდებლო საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები 5. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის თანმდევი შედეგები, აქტის მოქმედების შეჩერების დრო, აქტის მოქმედების არ შეჩერების საფუძვლები და თანმდევი შედეგები 6. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი 7. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები და შედეგები 8. ადმინისტრაციული საჩივრის ცნობის საფუძვლები და შედეგები 9. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგები 10. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>მსმენელმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადმინისტრაციული საჩივრის არსი; ადმინისტრაციული საჩივრის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი • ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი; საჩივრის განხილვისას გამოსაყენებელი ადმინისტრაციული წარმოების სახე; ადმინისტრაციული საჩივრის ფორმისადმი/შინაარსისადმი დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნები. • ვის აქვს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის

უფლება; რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ქმედების გასაჩივრება

- ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადები; ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის ათვლის საფუძვლები; ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადა; ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესაძლებლობის და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისათვის არსებული შეზღუდვები

- ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის საკანონმდებლო საფუძვლები და გადაწყვეტილების გამოტანამდე განსახორციელებელი შესაბამისი პროცედურები

- ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის თანმდევი შედეგები; აქტის მოქმედების შეჩერების დრო; აქტის მოქმედების არ შეჩერების საფუძვლები და თანმდევი შედეგები

- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი; მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მახასიათებლები; არსებული საკანონმდებლო შეზღუდვები ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას;

- ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები და შედეგები; ადმინისტრაციული საჩივრის ცნობის საფუძვლები და შედეგები

- დაინტერესებული მხარის საჩივრის განხილვაში მონაწილეობის საკითხი; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობის საკითხი ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში; ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის თავისებურებები; ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თავისებურებები

- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგები

- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები

მსმენელს შეუძლია:

- ადმინისტრაციული საჩივრის იდენტიფიცირება; მოიძიოს სათანადო რეგულაციები

- განსაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი; თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაბამისი გადაწყვეტილებები დააფუძნოს

	<p>სათანადო ადმინისტრაციული წარმოების სახეს;</p> <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვროს საჩივარი წარდგენილი არის თუ არა დაინტერესებული პირის მიერ; განსაზღვროს წარდგენილია თუ არა საჩივარი შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან/ქმედებასთან; განსაზღვროს წარდგენილი არის თუ არა ადმინისტრაციული საჩივარი უფლებამოსილ ორგანოში; განსაზღვროს ექვემდებარება თუ არა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა შესაბამისი პირის უფლებამოსილებას • განსაზღვროს დაცული იქნა თუ არა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადები; შესაბამისი დასაბუთების არსებობისას, იმსჯელოს ვადის გაგრძელების შესახებ • სიღრმისეულად გამოიკვლიოს არსებობს თუ არა ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები; მოამზადოს გადაწყვეტილების პროექტები ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ • გამოიყენოს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დებულებები; კანონმდებლობის დაცვით განახორციელოს ადმინისტრაციული წარმოება • განსაზღვროს ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები; შეამოწმოს ადმინისტრაციული საჩივრის ცნობის შესაძლებლობის წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასთან • შეამოწმოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლობა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას • მოამზადოს სათანადო მოთხოვნების დაცვით შესაბამისი გადაწყვეტილებები • განსაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაწევი ხარჯების ოდენობა და ხარჯების გაწევის საფუძვლები
მოცულობა	კრედიტი: 0.7 საკონტაქტო საათი: 14
მწვრთნელი/მწვრთნელები	<ol style="list-style-type: none"> 1. ნინო ფურცხვანიძე 2. ლაშა მარგიშვილი
სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია	<p>ნინო რომაშვილი ელ.ფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge ტელ: (995 32) 2 94 22 28 , 2 38 22 59; 599 58 88 01</p>